ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1755938

ნომერი: AR1287623

თარიღი : 19.02.2015

გაცემის თარიღი : 27.02.2015

გაცნობის თარიღი : 27.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შპს,,ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"-ს ობიექტის მიმდებარედ(ნაკვეთი 08/068)/ ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ორგანიზაცია:
- გოდაკო+ კოდი: 202269035

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი საკადასტრო გეგმიდან ირკვევა, რომ ტერიტორია, სადაც გათვალისწინებულია საპროექტო კარის განთავსება დატვირთულია შესაბამისი ვალდებულებით – სერვიტუტით ("ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი სივრცე განმარტებულია, როგორც განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა ტიპის სივრცეები). სერვიტუტზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია. აქვე გაცნობებთ, რომ კარის მოწყობა სერვიტუტით დატვირთულ ტერიტორიაზე შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აღნიშნული ტერიტორიის კორექტირება და შესაბამისად კორექტირებული საკადასტრო გეგმის წარმოდგენა (სერვიტუტის გარეშე) ან თუ წარმოადგენთ იმ პირის თანხმობას კარის მოწყობასთან დაკავშირებით ვის სასარგებლოთაც არის დატვირტული სერვიტუტი, რომელიც შესაძლებელია აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში".

- ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად 135.00 კვ.მ მიწის ფართობზე დარეგისტრირებულია შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე. მოიხსნას აღნიშნული შეზღუდვა და განახლდეს ამონაწერი.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.